

ნაბ. ნ. მაღალაშვილი


№ 16 (1338) აგვისტო 1970

ნათესა

გამოცემის 47-ე წელიწადი 20 კპბ.

— სადაა თქვენი საგამოცემო?
— მე მუქივარა? იუბილეზე კონიაკებიანი და შამპანურიანი
კალათი რომ მოგართვით, იმედი ჩავაღებ, გაბოგნო!

ნახ. ვ. ლოლაანი



— სალა ხარ, კამო, ერთი წელია
ვინს რამსტორანში არ გამოჩნდებიან?
— ფულს ვაბრუნებდი!

ღ ი ა

კუთაინის მესამე საბჭოთაო ავტონომიური კანონის
უფროსს — გიორგი ლუკას კუპატაშვილს

გარათი

ღრმად პატივცემულო ძვირფასო გიორგი! თავდაპირველად ბოდიშს ვიხდი შეწუხებისთვის და მორჩილად თავს ეხრი თქვენს წინაშე. ახლა, ამ გახურებული ტვირთბრუნვის პერიოდში, როდესაც თითოეული წუთიც კი ძვირფასია, განა ღირდა თქვენი მოცდენა? მაგრამ რას ვიზამთ, საქმემ მოითხოვა და მიიძულა თქვენთვის, უადრესად დაკავებული ხელმძღვანელისათვის, ორიოდე წუთი წამერთმია და სამიოდე ამხანაგური სიტყვა მეკადრებინა: დიახ, პატივცემულო გიორგი, საქმე სწორედ კადრებს ეხება. თქვენ, როგორც გამოცდილ და საქმეში ღრმად ჩახედულ მუშაკს, ალბათ, გეცოდინება, თუ რა ჯდება ყოველი უმაღლესი განათლების მქონე სპეციალისტის გაზრდა. ინჟინრისა თუ ექიმის, აგრონომისა თუ პედაგოგის დიპლომი სახელმწიფო სალაროდან ამოღებული ვალუტაა, რომელსაც, დროთა განმავლობაში, დაბრუნება უნდა ალაღად და თავანკარად. თუმცა რას ვასწავლით, თქვენ თვითონ უფრო კარგად არ იცით სწავლის სიტყბისა და გემოს ამბავი? განა თქვენს კანტორაში არ მოუწყვეთ თბილი შეხვედრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის კურსდამთავრებულ ოთარ კაპიტონის ძე უშვერიძეს? თქვენ არ ჩამოართვით ვაჟაკურად ხელი? ანდა სხვაგვარად როგორ შეიძლება! თქვენდამი რწმუნებული კანტორა ხომ ასე მწვევედ განიცდიდა კვალიფიცირებული კადრების ნაკლებობას. ასეა, ასე საქმით, ძვირფასო გიორგი, ახალგაზრდა კადრებს ბუდიდან ახალამოფრენილი ბარტყებივით უნდა თვალყურის დევნება, ფრთების გასწორება, მოვლა და პატრონობა...

ახალგაზრდა სპეციალისტმა **ო. ა. უშვერიძემ** — საავტომობილო ტრანსპორტის ექსპლოატაციის ინჟინერმა — ახალი ენერჯითა და ცოდნით წარმართა მუშაობა. თქვენი კანტორის მთავარი ინჟინრის — ვ. ი. კვეტიანიშვილის სიტყვებით რომ ვთქვათ, იგი თურმე „დაკისრებულ მოვალეობას ასრულებდა დროულად, თანამშრომლებს შორის სარგებლობდა ავტორიტეტით, თავისი მუშაობის პერიოდში შემოტანილი ჰქონდა და დაწინაურებული ავტომეურნეობაში შვიდი რაციონალიზატორული წინადადება“.

აბა, ასეთ სპეციალისტზე მადლობის მეტი რა გეტქმოდათ, მაგრამ ერთ ღრუბლიან დღეს, უფრო სწორად 1965 წლის 27 მარტს, № 54 ბრძანების ძალით, **ო. ა. უშვერიძე** შტატების შემცირებაში მოაყვლინა და შემდეგ კი პროფკავშირებს „თხოვეთ“ ბრძანების დასტური, მაგრამ ადგილკომმა თქვენ, ამოღენა კანტორის უფროსს, თავისი დადგენილებით უარი გითხრათ თანხმობაზე. მაგრამ ვინ უყურებს ადგილკომს, როცა ორგანიზაციას ისეთი პრინციპული და თავისი სიტყვის პატრონი ხელმძღვანელი ჰყავს, როგორც თქვენ ბრძანდებით! ვისა აქვს უფლება, თქვენი სურვილი და გადაწყვეტილება შეცვალოს. მართალია, უმიზეზოდ შტატ-შემცირებულმა უმაღლეს ინსტანციებში, სახალხო სასამართლოში მოითხოვა თავის უფლებებში აღდგენა, დაიხარჯა უამრავი დრო, გაცდა არა ერთი და ორი თანამშრომელი, თავის პირად კანონიერ საქმეს მოწყდა და უკანონოდ გადაწყვეტილ საქმის შესწავლას მოუწინადა თითებზე დაუფიქრებელი პასუხისმგებელი მუშაკი, მაგრამ ამას რა მნიშვნელობა აქვს, თქვენ ხომ მაინც იხტიბარი არ გაიტყუებთ და სასამართლოს მიერ აღდგენილ მუშაკს ისევე გაუღეთ თქვენი კანტორის კარი.

დიახაც, რომ აღსდგა სამართალი, მაგრამ თქვენ მაინც ინჟინერ-მექანიკოსი პროფილაქტორის ოსტატად დანიშნეთ... მაგრამ სულ მალე ისევ აიშალა ღრუბლები ავტონინინერ **უშვერიძის** თავზე: 1966 წელს. იგი ამჯერად ოსტატის თანამდებობიდან გაათავისუფლეთ. ატყდა სირბილი უმაღლეს ინსტანციებში, სასამართლოში, პროკურატურაში, დაიხარჯა უამრავი დრო, აიშალა სამართალი, მასზე უფრო მეტად აიშალა უამრავი

ადამიანის ნერვები, გაცდა სამართლის უთვალავი მუშაკი და თქვენს მიერ უსამართლოდ გათავისუფლებული **ო. ა. უშვერიძე** ქრისტე-ღმერთივით მეორედ აღსდგა მესამე კანტორაში. თავის თანამდებობაზე? არავითარ შემთხვევაში! იგი ახლა უსაფრთხოების ინჟინრად დანიშნეთ და, ალბათ, ისევე წესიერად წარუძღვებოდა მასზე დაკისრებულ მოვალეობას, 1970 წლის 29 იანვრის № 19 ბრძანებით ისევ შტატების შემცირებაში რომ არ მოგვეყოლებინათ! უსაფრთხოების ინჟინრის შტატის გაუქმების შემდეგ, როგორც ბოროტი ენები ლაპარაკობენ, საგრძნობლად მოუმატია ავარიების რაოდენობას, მაგრამ ასეთ ცილისწამებას ვინ დაიჯერებდა, რომ მე დამეჯერებინა? თქვენი არ იქოს, მეც ბედისწერისა უფრო მწამს, ვიდრე სიფრთხილისა, ლექციური პროპაგანდისა და ავტომძლოლებთან მუდმივი საუბრისა და მუშაობისა.

ო. ა. უშვერიძესთან ერთად, პრაქტიკოსებისა და უდიპლომოთა გულის გასახარად, შემცირებაში მოყვა მეორე ინჟინერი **შოთა პლატონის ძე უორჟოლიანი**. ისევე, როგორც წინათ, არც ეს სურვილი იქნა შეთანხმებული ადგილკომთან; ისევე დაეფარა ხელი შრომის კანონთა კოდექსის 47-ე მუხლის „ა“ პუნქტს და, მასთან ერთად, ყველა იმ პუნქტს, რომელიც იმ კანონის წიგნშია შავით თეთრზე დაწერილი.

ბოლო შემცირებამ კიდევ უფრო მეტი დრო წაგართვათ თქვენ და თქვენი ტრესტის ზოგიერთ მუშაკს. ამ მხრივ მეტად დასანანი № 3 ავტონსატრანსპორტო ტრესტის უფროსი ინჟინრის (კადრების დარგში) დ. მაჭავარიანის მიერ დაკარგული დრო, რომელიც თავის ა. წ. 27 იანვრის, 20 და 29 აპრილის წერილებით, საქმის შესწავლის ნაცვლად, **ო. ა. უშვერიძეს** ვაჟაკურად უთითებს სახალხო სასამართლოსაკენ. ასე უნდა, მაშ, როგორ! ჰკვიანმა მუშაკმა აუტეკივარი თავი არასოდეს არ უნდა აიტკივოს, თავისი გადასაწყვეტი საქმე სხვას უნდა გადააწყვეტინოს, რომ ამით ზედმეტი საქმით თავი არ დაიტვირთოს.


სასამართლომ, ისევე როგორც წინათ, უკანონოდ, უსწოროდ გათავისუფლებული ოთხი შვილის მამა — ინჟინერი **ო. ა. უშვერიძე** აღადგინა სამუშაოზე განაცდურის აღდგენით, მართალია ამ გადაწყვეტილების გამოტანამდე კიდევ და კიდევ გაცდა დრო, გაცდენ შემდგომი ორგანოების, სასამართლოსა და პროკურატურის მუშაკები, მაგრამ მეტი რა მოხდა, ზოგიერთ უფროსს თავისი კანონი, თავისი პრინციპი გააჩნია და ასე უეცრად ხომ ვერ მოიშლის ათადან-ბაბადან შემორჩენილ და აკვიტებულ სურვილს?

მსოფლიო რაინდთა გვირგვინი — დონ კიხოტ ლამანჩელი ასე არიგებდა ბარატარიის გუბერნატორად დანიშნულ სანჩო პანასას: „სხვისი საქმის გარჩევის უამს პირადი ყინით თვალებს ნუ აიხვევ. მართო სიმართლე გახსოვდეს, რადგან უფრო ხშირად გაუსწორებელ შეცდომას ჩაიდენ და მათი გასწორება, შესაძლოა, შენგან დამსახურებული ნდობისა და შენი ქონების ხარჯით მოგიხდეს“. თქვენი ქონება რა შუაშია, პატივცემულო გიორგი! განაცდურებს ხომ სახელმწიფოს ჯიბიდან იხლით და ავტოკანტორის ფული კი, აბა, რა დასაშურია!

ამ ეპისტოლეს, ალბათ, ასე არ გავაგრძელებდი, ძვირფასო გიორგი, თქვენნაირი პრინციპული უფროსები ერთეულებად რომ მეგულეობდეს ამ ჩვენს წარმოება-დაწესებულებებში.

სხვა მხრივ კი ჭანმრთელობასა და კარგად ყოფნას ვისურვებთ, ძვირფასო გიორგი!

მარად თქვენი კეთილისმდომელი ნინანდი



1970 წლის ივნისის თვის „ნიანგი“ (№ 12) გამოქვეყნებული წერილი — „აქა ამბავი ვაჭრობის ზოგიერთი მეთოდების შესახებ“ განიხილა ქარელის რაიკოოპკავშირის გამგეობამ და გვაცნობა შემდეგი:

მომხმარებელთა ზომა-წონაში მოტყუებისათვის ბრეტის მალაზიის გამგე ო. ი. ედილაშვილი, ქარელის რესტორნის მიმტანი ვ. ი. ლიანჯო, აგარის მუშათა კოოპერატივის სასადილოს მებუფეტე დ. კ. ანანიკოვი, ურბნისის მალაზიის სექციონერი ნ. ინდუაშვილი აყვანილი არიან პატიმრობაში.

სოფ. ურბნისის მალაზიის გამგე-გამყიდველი ხანიშვილი, აგარის მუშათა კოოპერატივის ცენტრალური მალაზიის გამგე ს. ა. იოსებაშვილი, რაიუნვიკრმალის სექციონერი ნ. ი. ნადირაძე და ამავე უნივერსალის დირექტორი დავარაშვილი გათავისუფლებული არიან სამუშაოდან.

ქარელის ვასტრონომიული მალაზიის სექციონერ შუბითიძეს გამოეცხადა საყვედური.

ქარელის რაიონის სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემაში ვაჭრობის წესებს დარღვევის შესახებ იმსჯელა საქ. კპ ქარელის რაიკომის ბიურომ და საქართველოს ცეკავშირის გამგეობამ დარღვევათა აღმოსაფხვრელად შესატყვისი ღონისძიებები მიიღო.

* * *

ასევე იმსჯელა ჟურნალ „ნიანგის“ ამავე ნომერში გამოქვეყნებული მასალა — „ფათერაკიანი რეისის“ შესახებ ამიერკავკასიის „სოიუზკისლოროდმონტაჟის“ ტრესტის სამმართველომ და მძღოლი ა. ა. ვართანიანი გაათავისუფლა სამუშაოდან.



— მილი, ტოტია, ნუ გეშინია, შეხებურთია დღეს!


ღმერთი ზღმა არა სარ?!.

ყოველთვის უბრად ჩაგვივლი; გაჩერებას ვინ ჩივის, არც კი შემოგვხედავ. იქნებ ჩვენც იქით მოვდივართ? გვერდით ჩავლილს გულდაწყვეტილ და ნაწყენ მზერას თან გაყოლებთ. შენს ქედმაღლობას და სიამაყეს საზღვარი არა აქვს. თავს არავის უყადრებ. ცა ქუდად და დედამიწა ქალამნად არ მიგაჩნია. იმედით შემოგყურებთ, იქნებ გვიკადრო. თუ გვიკადრე და... შენი სიტყვა კანონია. სადაც შენ გინდა, ყველა იქ უნდა წავიდეს, ის უნდა გააკეთოს. არ ვარგა ასე, მეგობარო! განასულ ასე იქნება? არავინ გამოჩნდება ისეთი. შენს თვითნებობას ბოლო მოუღოს?

ხელის აწვევაზე თუ არა, დაძახებაზე მაინც გაჩერდი; ბოლოს და ბოლოს, ტაქსი ხარ, ღმერთი ხომ არა!

მასტანბ მაღრაძე

ნ.ბ. ჯ. ლოლუასი



— გაიგე? დათუნაშვილი მრეშინის „პარკატში“ გადასულა!
— არ დაიჯერო! „პარკატში“ რომ გადასულიყო, 5:0 იქნებოდა.

— გამარჯობა, გოგათურა!
— გაგიმარჯოს, ჩემო მუზავ!
— როგორა ხარ? საითა ხარ?
კაცი ხარ თუ ხარაბუზა?
— როგორ ვითხრა: ზოგთან — ბუზად,

ზოგთან ვჩანვარ
იალბუზად...
მზეს ვუმზერ და, მგრის
ჯინაზე,

დროს ვაგარებ მხიარულსა...
ეს ვინლა, უცაბედად
ჩვენს შუა რომ აიგუზა?
— ვერ იცანი, გოგათურა?
— ვერა, ძმაო!
— იანუსა...
— ამბობენ, რომ უგვინოა,
უწიგნური, უვიცი,
ბინძურია, ძმას გაჰყიდის
სამი გროშის გულისთვის...
თუკი კაცში ნახავს რასმე
სათავისოს, სარგებელს,
იანუსა მყისვე ბაძავს
იაგაკის საგებელს...

ისეთ ღიმილს გადაიფენს,
ლამის გულში ჩაიკრა...
მერე, თუკი ფონს გაიყვან,
თავში თუნდაც ქვა იკრა...
ზოგისთვის კი ვაჟკაცია
და მარჯვენა ხელია, —
კულს რომ ნაზად აქიციანებს
იქაცა და აქაცა...
ვაი, ვაი ჩვენი ბრალი,
იანუსა განკაცდა!
— მაშ, ეს არის იანუსა?
— კი, ეს განსაღვთ
ნამდვილად!
— რათა, რისთვის, ვისგან,
როგორ,
სად და როდის გაზრდილა?
— აქვე, ჩვენში, ბრმა თუ
არ ხარ,

უნდა იცნო ადვილად...
ყველა ჭორი იქნებ მასზე
მართლაც არის ალალი,
ერთს კი გეტყვი (დამიჯერე!)
მთლად უგვინო არ არის!
— კარგი ერთი, ჩემო მუზავ,
შენგან გასაკვირია!
იანუსა ვის რას უზამს,
კაციო? მღილია!
რა ვუყოთ, თუ ლომობა
სურს

დაბადებულს ფინიად!...
— მგლობამდე ხომ მიადღია,
ბიჭოს! ეგეც გვინია!..
— „ეს ცხოვრება ბრძოლააო“,
ეგეც კაციშვილია...
— ამქვეყნად ხომ ყველას
მსოლოდ

თავის სვედრი ერგების?..
დროზე თუ არ შეიგრუსა
მაგისტანა ნერგები...
— ვინა გყუის?

— იანუსა ვისაც ფეხქვეშ
ეგების...
— ბრმა მამაცხოვრებული?
— ბრმა კი არა, — რეგვენი!
— ეჰ, რა ვითხრა, ორივენი
ჩვენა ვცლებით, ეგების!?

სეამნეა ჟურნალი

გვარიტხეიან, ვასუსობო!

(ნიანგის იურიდიული
კონსულტაცია)

კითხვა: ვმუშაობდი № 1 „თბილ-კვებვაჭრობის“ № 120 მაღაზიაში გამ-ყიდველად. „ვცდილობდი“, არავინ მომეტყუებინა, მაგრამ ერთმა მომხმარებელმა, რომელმაც 8 ბოთლი ლუდი და ერთი ბოთლი ღვინო შეიძინა, შემეყვანა შეცდომაში და, 2 მან. და 65 კაპ.-ის ნაცვლად, გადამიხადა 3 მან. და 70 კაპ. ამისთვის გამათავისუფლეს და სამართლის გზას გამიყენეს.

გთხოვთ განმიმარტოთ, ჩავითვლები თუ არა დამნაშავედ და რა გზას დავადგე?

მაია ბაირამაშვილი

პასუხი: კაი გზაზე დაუყენებინართ და მაგ გზით იარე, სანამ ჭკუას ისწავლიდე!

კითხვა: ვმუშაობდი სასადილოების მესამე ტრესტის № 141 გაერთიანების № 6 სამწვადეში მეზუფეტედ. ამას წინათ სამწვადეში პურის საქმელად შემოსული ორი კლიენტისათვის, 4 მან. და 50 კაპიკის ნაცვლად, ჩქაროსნული მეტოლით 8 მანეთი გადამიხდევინებია. ცილს მწამებდი, თითქოს ორმაგი გადავხდევინე. ეს ჩემისთანა პატიოსანი კაცის აშკარა შეურაცხყოფაა; ორმაგს მთელი ერთი მანეთი აკლია. სიმწრისგან ყელში ბოლმა მომაწვია და ხველება ამიტყდა. რა ვქნა, როგორ მოვიქციე?

სერგო მიხაილოვი

პასუხი: იჯექი და ახველე, მეტი რაღა საქმე გაქვს!

კითხვა: ყუთით დავატარებდი ქუჩა-ქუჩა ნაყინს. გაფორმებული ვიყავი თბილისის № 2 სასადილოების ტრესტის საზოგადოებრივი კვების № 77 გაერთიანებაში თანამშრომლად. თითო ნაყინში, 20 კაპიკის ნაცვლად, 25 კაპიკს მიხდიდნენ. ამას წინათ, ზედაზნის ქუჩაზე, ერთმა ინტრიგანმა 8 ცალ ნაყინში 2 მანეთი მომცა და როცა მაღლობა გამომტყუა, მერე მომლო შარი: ნაყინით ხელეებს ითბობო. ერთი მითხარით, ვის გაუგია ყინულზე ხელის მოთბობა?

კამილ ხალათიანი

პასუხი: ასეთი რამ არც ჩვენ გავვიგია. ბაზამ ვიპასუხოთ!

კითხვა: ვმუშაობდი „თბილგასტრონომვაჭრობის“ № 48 უგამყიდველო მაღაზიაში მოლარე-კონტროლიორად. სექციონერისგან მაღაზიაში მივიღე ერთი ყუთი სამვარსკვლავიანი კონიაკი (ეს იყო ფასების მომატებამდე, როცა თითო ბოთლი ღირდა 3 მან. და 70 კაპ.).

ეს კონიაკი თაროებზე არ გამომიფენია და შინაურულად ვყიდდი იმაზე, ვინც ღირსი იყო და თითო ბოთლ კონიაკში 5 მანეთს მაძლევდა.

ერთ დღეს კიდეც ერთ მომხმარებელს გავუწიე ანგარიში და 2 ბოთლი კონიაკი ქალაქში ვახვეული გადავწოდე. მან ათმანეთიანი მომცა და წავიდა, მაგრამ იგი კარებში შეაჩერეს მილიციის მუშაკებმა, შემომწმეს და უდავო საქმე სადავოდ გამიხადეს.

ახლა, როცა სამვარსკვლავიანი კონიაკზე ფასმა მოიმატა, მაინტერესებს, სასჯელი ძველი ფასის მიხედვით მეკუთვნის თუ ახლით?

ნაზიკო სიხინვა

პასუხი: მაგას ახლა რა მნიშვნელობა აქვს, შენ ისედაც ჩამოფასებული ხარ!

კონსულტანტი **მ. ხმალაძე**

ლაბალაბის მოწმობა

დავიბადე... საკაცეთში, თავი მეც კი მომწონდა, რაღაც ჭირად დამეკარგა დაბადების მოწმობა.

თავი ვტუცი (ვფიცავ გამჩენს!) ცეცხლში, როგორც დავლურში, გავაფრინე მე სასწრაფო კითხვა **ამბროლაურში**.

მამამა ცნობა გამოგზავნა, (ცინ ზის ნეტავ, ავსული?) ვარ ჭოხაძე, მე, ილია, თურმე თომას ასული.

ამ მოწმობის აღდგენისთვის რაც გადაიხდა, რა დაწერს! სილა (ლოყას ვინა ჩივის) მგონი ტვინშიც გამაწნეს.

ზოგან მკითხეს: მთვრალს თუ ფხიზელს


დამეკარგა ეს ცნობა? ზოგმა ხელი მოიჩრდილა — „ამის სახე მეცნობა“.

მთხოვეს ცნობა სამსახურის, სხვაც — საერთო ყველასთვის, რომ ეკითხათ, მზადა მქონდა ერთი ცნობაც ხელფასის.

ჩემთვის, იქნებ, მართლა სჯობდა სულაც ამით დაეწყოთ... (ორ მოწმესაც მივიყვანდი, ვინც ჩემს „აღუს“ დაესწრო).

რა მჭირს რაჭველს, ვერ გავიგე, სხვისგან დამადლებული, მიპასუხეთ, იქნებ მართლა არ ვარ დაბადებული?

ჩაიწერა **ზაზაშ**



ფოტოინფორმაცია

— რა გაგჭირვებიათ, სავარდო და სამაისო ქალაქის მკვიდრნი? ლუდისა და ხვანჭკარის რიგს რაღაც არა ჰგავს თქვენი თავურილობა. — ვუთხარი საქამანდო პუნქტში მოფრენილ ფოტოსურათს.

— ლუდსა და ხვანჭკარას ვინა ჩივის, ჩვეულებრივი წყალიც სანატრელი გავიხდა, — ალაპარაკდნენ ავტოქარხნის ქუჩა № 83/1, 83/2, 83/8 მობინადრენი, — მივაკითხეთ წყალკანალტრესტს და ასე გვითხრეს: თქვენ წყალი, გრაფიკის თანახმად, დილის 6 საათიდან დღის 2 საათამდე გაქვთო.

— მერე, თქვენ რა უპასუხეთ? — წაიდეთ თქვენი გრაფიკი და წყალი მოგვეცით!

ქუთაისის წყალკანალტრესტის დალოცვილო მუშაკებო! ამ ჩახატულ-ჩასურათებული ბავშვებისათვის წყალი თუ გავიწყდათ, გელათს შეთხოვეთ, იქნებ კვირაში ერთხელ წვიმა მაინც გამოიმეტოსო...

ფოტოსურათი გახმოვანა **ღამი ლანდიაშ**

კვეშ მომიყოლოს მთლიანად

პირველი შესახვევი ვარ, ვაკეში, მცხეთის ქუჩისა; ვინც ასე მიმხატ-მომხატა, ჭირიმე მისი ფუნჯისა! ერთ დღეს ასფალტით მომადგნენ, დამამუშავეს მწუხრამდე, გუდრონის „კაბა“ ჩამაცვეს, ვერ მომამუშავინეს „მუსლამდე“. ნახევრად მოასფალტებულს გამომიცხადეს შაბაში, აიკრეს გუდა-ნაბადი, დამტოვეს „მინი-კაბაში“. იმ დღიდან ჩემს დამთავრებას აღარ დაადგა საშველი, თავი მაქვს გულგასასარი, ბოლო — ნერვების ამშლელი. თუ მე ვტყუოდე რამეში, ვაკიან-აღმართიანად ცხელი ასფალტი დამეხსას, ქვეშ მომიყოლოს მთლიანად!

მ. მებჭური

კვირასო ნიანგო!

მიიღეთ გულთბილი სალამი აფხაზი მწერლებისაგან.

ვიციტ სიამოვნებით გახსნიტ ამ ბარათს, რადგან ჩვენგან არცთუ ისე განებივრებულნი ხართ, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენს „ნიანგოში“ წლევანდელ დებიუტს საჩივრით ვიწყებთ.

რა გაგვიჭირდა? მოვახსენებთ! სოხუმში, ლაკობას ქუჩა № 112 სახლს, მეოთხე სართული დაამყენეს და გვითხრეს: ჰა სახლი, ჰა გასაღები, საწერ-კალამი თვითონ გეჭნებათ, შედით, იცხოვრეთ და იმრომეთო.

აქვე ბარემ იმასაც გეტყვით, რომ მშენებლობა ჩაატარა სამშენებლო სამმართველოს მიეჩქვს ტრესტმა. სამმართველოს უფროსი კ. ლახარიდი, მთავარი ინჟინერი მ. მიხელაშვილი, ეს უკანასკნელი თქვენთვის ძველი ნაცნობია, სასტუმრო „თბილისის“ მშენებლობასთან დაკავშირებით.

ჩვენი კოლეგები ხართ, გვიუბნებოდა მ. მიხელაშვილი, აბა სულის ინჟინრებს მშენებელი ინჟინრები გულნაკლულად როგორ დაგტოვებთო.

გასაღებები მართლაც მოგვცეს, გავაღეთ კარი და...

ღეფექტები, ღეფექტები: უხარისხო პარკეტი, მრუდეთ და ცუდად მობათქაშებული კედლები, სახურავი ალაგ-ალაგ წვიმაგამტარი, საძაგლად მოცემენტებული აივნები და სხვადასხვა.

სოხუმის ქალაქის საბჭოს კაპიტალური მშენებლობის განყოფილებამ (უფროსი ტ. გიცბა), რომელმაც დააპროექტა მშენებლობა, ხარჯთაღრიცხვაში არ გაითვალისწინა არც ტელეფონის კაბელის გაყვანა და არც ელექტრომრიცხვილის დაყენება.

ელექტრომრიცხველები კი საკუთარი ფულით შევიძინეთ, მაგრამ ტელეფონის კაბელს რა გიუყო? აქ კი გამოსავალი ტ. გიცბას გამჭრიახობამ მოძებნა:

— ხომ ბლომადღაა ღეფექტები მშენებლობაში? არის! ხომ ჭირდება მის აღმოფხვრას თანხა? ჭირდება! ჰოდა, ამ თანხის საზღაურად ვაიძულებთ მშენებლებს კაბელი გაიყვანონ.

ჩვენ გვიკვირს ერთი, ტ. გიცბა ხომ თვითონ მონაწილეობდა მიმღებ კომისიაში, რატომ დათანხმდა საქესპლოატაციოდ ჩაებარებინათ ბინები ასე აშკარა ღეფექტებით? ვინ იცის, იქნებ ესეც მისი გამჭრიახობის ნაყოფია? ვინ იცის, კაბელის გაყვანას სწორედ ამ ხერხით აპირებდა?

კიდევ ერთი რამ გვიკვირს: თუ კაბელს გაიყვანენ მშენებლები ღეფექტების ხარჯზე, მაშინ ღეფექტებს აღარ შეასწორებენ, გამოიწიან, რომ ისევ საკუთარი ფულით უნდა მივხედოთ საქმეს.

მოკითხვითა და ნახვის ნატვრით აფხაზი მწერლები



ნ.ზ. ზ. ნიდაშვილისა

— გავიგე, გავინასურებენ და თქვენს აღბილზე მე დახნიუნეთ, მშვენიერი ყვირილი ვიცი!

ა. ინიანი, ლ. ოსაღუჯი

წინააღმდეგობა

მე პიესა დაგწერე. ცუდი პიესა კარგ ადამიანებზე.

— პიესა არ ვარგა! — მითხრა რეჟისორმა.

— სამაგიეროდ ადამიანები არიან კარგები. — თავი დავიცავე მე.

— გეთანხმებით, — დამეთანხმა რეჟისორმა, — ადამიანები ნამდვილად კარგები არიან, მაგრამ პიესა ძალზე ცუდია.

— არ შეგეკამათებთ, — შევეკამათე მე, — პიესა მართლაც ცუდია, მაგრამ ადამიანები საუკეთესონი არიან!

რეჟისორი გაბრაზდა: — კი, ადამიანები კარგები არიან! მაგრამ პიესა ცუდი! ამაში კი თქვენ ხართ დამნაშავე.

მეც გაგებრაზდა: — კი, პიესა ცუდია! მაგრამ ამაში განა კარგი ადამიანები არიან დამნაშავენი?

რეჟისორი ჩაფიქრდა. — საერთოდ კი სწორი ხართ: კარგი ადამიანები დამნაშავენი არ არიან. მაგრამ წინააღმდეგობის თავიდან აცილების მიზნით არ შეგეძლოთ კარგ ადამიანებზე კარგი პიესა დაგწერათ?

მეც დავეუქრდი: — თქვენი მხრიდან თქვენც თქვენებურად სწორი ხართ. წინააღმდეგობის თავიდან აცილების მიზნით შეიძლება დაწეროთ ცუდი პიესა ცუდ ადამიანებზე?

— ო, არა! — თქვა შეშინებულმა

რეჟისორმა. — ასეთები ბევრი გვაქვს. ბოლოს გაგებრაზდი და პიესა მაგიდიდან ავიტაცე:

— თუ არ გინდათ... — რას ქვია არ გვინდა! — მიყვირა რეჟისორმა და პიესა ხელიდან გამომგლიჯა. — ძალიანაც რომ გვინდა!

— პიესა ხომ ცუდია? — ვუთხარი მე.

— სამაგიეროდ ადამიანები არიან კარგი, — შემეპასუხა რეჟისორი.

— ადამიანები ნამდვილად კარგები არიან, მაგრამ, სიმართლე რომ ვთქვა, პიესა მართლაც არაფრად არ ვარგა.

— პიესა მართლაც ცუდია. სამაგიეროდ საქმე საქმეზე თუ წავა, ადამიანები ძალზე კარგები არიან.


— მაგრამ კარგ ადამიანებზე კარგი პიესა რომ დაიწეროს, არა ჯობდა? — ვუთხარი მე.

— ჯობდა... — ამოიოხრა რეჟისორმა. — მაგრამ ცუდი პიესა ცუდ ადამიანებზე, დამეთანხმეთ, უფრო საშინელება იქნებოდა.

მე დავეთანხმე. რეჟისორს გაუხარდა.

ჩვენ ერთმანეთს ხელი მივეციტ და შევთანხმდით ჩემი პიესის პრემიერაზე შეგხვედროდით ერთმანეთს — კარგ ადამიანებზე დაწერილ საქმაოდ ცუდი პიესის პრემიერაზე.

თარგმნა ვასტანა ჭღანტა



ნ.ა. ა. ჯორაძისა

უბმასტი



მთავარი რედაქტორი ნოდარ ლუმაბაძე

სარედაქციო კოლეგია:
ზ. გოლჭვაძე (პ/მზ. მდივანი),
ს. კლიაშვილი,
ნ. მაღალონი,
ბ. ნოზნიანიძე (მთავ. რედ. მოადგილე),
ნ. შველიძე,
ო. ზვილიძე.

სატირისა და იუმორის: შურნალი „ნიანგო“.

თბილისი. რუსთაველი: პროსპექტი № 42. Тбилиси, Сатирико-юмористический журнал «Нианги». ტელ. რედაქტორის 99-76-69, რედ. მოადგილის 93-49-32. საერთო განყოფილების 93-10-78.

სამ. კვ ცკ-ის გამომცემლობა. ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ.

გადაცემა ასაწყობად 24/VII-70 წ. ხელმოწერილია დასაბამად 25/VIII-70 წ. ქალაქის ზომა 70x108/8. ფიზიკური ნაბიჯი ფურცალი 1, პირობითი ნაბიჯი ფს. ცელი 1,4. სამ. კვ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

ТИПОГРАФИЯ ИЗД-ВА ЦК КП ГРУЗИИ ТБИЛИСИ, УЛ. ЛЕНИНА № 14 შიპზ. № 2274 უე № 02163 ბირაჟი 119.400



КОНТРОЛЬНЫЕ ЭКЗЕМПЛЯРЫ

1
1970 70-571

საქართველოს
გრაფიკული
სამსახური
ს. ჯ. 76137

ს. ჯ. ლომიძის



საქართველოს გრაფიკული სამსახური
 № 571
 შემოვიდა _____ 1970
 წელი 10.17